

„კენგურუ-2015“-ის მონაწილეთა საყურადღებოდ!

ძვირფასო ბავშვებო,

პატივცემულო მშობლებო, პედაგოგებო,

რა თქმა უნდა ვწუხვართ, რომ ფრიად გაჭიანურდა „კენგურუ-2015“-ის მონაწილეთათვის სერტიფიკატებისა და საჩუქრების გადაცემა, მაგრამ, საბედნიეროდ, დიდი ძალისხმევის შედეგად **„კენგურუ“ - მსოფლიოში ყველაზე პოპულარული, ყველაზე სახალისო და საინტერესო მათემატიკური კონკურსი - გადარჩა საქართველოში!** ჩვენ, თქვენთან ერთად გავიმარჯვეთ! ამ გამარჯვებაში კი „ლომის წილი“ „კენგურუს“ მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტს **ბატონ გრეგორ დოლინარს** ეკუთვნის; იგი 19 მარტს ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა თბილისში; ძირფესვიანად შეისწავლა მიმდინარე პრობლემები და ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად დასახა „კენგურუს გადარჩენის“ გზები;

ძვირფასო ბავშვებო!

ვიმედოვნებთ, რჩებით „კენგურუს“ მხარდამჭერთა რიგებში და თუ მიმდინარე წელსაც მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, მაშინ სერტიფიკატებსა და საჩუქრებს გადმოგცემენ „კენგურუ-2016“-ის ჩატარების დღეს - 16 აპრილს - იმავე შენობაში, სადაც ჩატარდება კონკურსი(მისი დამთავრების შემდეგ), ხოლო ის ვინც მიმდინარე წელს არ(ან ვერ) მიიღებს მონაწილეობას კონკურსში, მაშინ:

თბილისელი მოსწავლეები სერტიფიკატებს მიიღებენ 17 აპრილს(მისამართს მოგვიანებით გაცნობებთ), ხოლო საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეების სერტიფიკატები და საჩუქრები ექნებათ მათი რაიონის კოორდინატორებს, რომელთა ვინაობას მოგვიანებით გაცნობებთ.

დამატებით ინფორმაციას ამ თემის შესახებ ერთ კვირაში მოგაწვდით.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარი“